საქართველოს მთავრობის

დადგენილება №285

2021 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021 – 2025-ის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021 – 2025“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №196 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**